პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 154 (1636). ○ ხუთშაბათი, 29 დეკემბერი, 1960 წ. ○ გამოცემის მე-17 წელი. ○ ფასი 30 კაპ.



◆

სურათზე: საბჭოთა კავშირის 1960 წლის პირველობაზე მეორე საპატიო ადგილზე გამოსული თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდი.

◆

თვალსაჩინოება აგიტაციის შესანიშნავი საშუალებაა

შედიხართ სპორტულ ბაზაში და ვიდრე შეჯიბრება დაიწყებოდეს სეირნობთ მის დერეფნებში, ასე ვთქვათ ემზადებით სპორტული ბრძოლით გამოწვეული მოსალოდნელი მღელვარების გადასატანად. ამ პერიოდს იყენებთ გემოვნებით გაფორმებული სტენდების დათვალიერებით. აქ ნახავთ ამ ბაზაზე აღზრდილ მოწინავე სპორტსმენების პორტრეტებს, ეცნობით მათი სპორტული და პირადი საქმიანობის ამსახველ მასალებს. მეორე სტენდი მოგვითხრობს საქართველოს ოლიმპიელების შესახებ. აქ არიან ჰელსინკის, მელბურნისა და რომის ოლიმპიადის გმირები. ლამაზი ქართული ასოებით დაწერილი ტექსტი გვამცნობს საბჭოთა ოლიმპიელთა ტექნიკურ შედეგებს, მიმზიდველადაა დამონტაჟებული შეჯიბრების ამსახველი მომენტები და იმ ქალაქის ხედები, სადაც ოლიმპიადები ტარდებოდა.

ცენტრალურ სტენდზე, რომელსაც თავზე ოქროსფერი ასოებით აწერია — „ჩვენი მოწინავენი, რეკორდსმენები, ჩემპიონები“ — მოცემულია რესპუბლიკის სპორტის ვეტერანები, რომლებმაც დღემდე მოიტანეს საბჭოთა სპორტი, აქვე არიან პირველი ჩემპიონები, რეკორდსმენები, დამსახურებული ოსტატები, დამსახურებული მწვრთნელები და ის შესანიშნავი თაობა, რომელმაც შეცვალა ვეტერანები. შემდეგი სტენდი გაგაცნობთ მსოფლიოს, საკავშირო და რესპუბლიკურ რეკორდებს მძლეოსნობაში, ძალოსნობაში, სროლაში, სათანრიგო და მშთ და იმშთ ნორმატივების ცხრილებს, აქვეა მხატვრული პლაკატები, რომლებიც მოუწოდებენ მნახველებს სექციებში გაერთიანებისაკენ, ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობისაკენ, წითელ ტილოზე თეთრი ასოებით გამოკვეთილი ლოზუნგი გვამცნობს გასულ წელს მოპოვებულ წარმატებათა შენარჩუნების აუცილებლობაზე. ფეხბურთის, კალათბურთის, წყალბურთის გათამაშების ცხრილებში გაეცანით ჩვენი გუნდების მდგომარეობას საკავშირო პირველობებზე და... ზარის წკრიალმა გამცნოთ შეჯიბრების დაწყება.

იმ თავისუფალი 10 თუ 15 წუთის განმავლობაში რამდენი რამის გაგება შეძლო კაცმა, რამდენი გულში ჩამწვდომი და დამაფიქრებელი მოწოდება წაიკითხა, რა მდიდარ ისტორიულ ფოტომასალას გაეცნო... მაგრამ სპორტის მოყვარული იკითხავს—სად არის ასეთი მორთულ-მოკაზმული ბაზა? გონების თვალით დაუწყებს ძებნას...,

ცენტრალური საჭადრაკო კლუბი, განათლების განყოფილების ტანვარჯიშული დარბაზი, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ფიზკულტურელთა ოთახები, უცხო ენათა ინსტიტუტის დერეფნები... კიდევ რამდენიმე ობიექტს ჩამოთვლის და გაჩერდება. სამწუხაროდ, ამ ობიექტთა შორის მხოლოდ საჭადრაკო კლუბი და ლენინის სახელობის დარბაზია ხელმისაწვდომი, დანარჩენი სავარჯიშო ბაზებია ან ცალკე გამოყოფილი სამუშაო ოთახები. განსაკუთრებით უგულველყოფილია თვალსაჩინო აგიტაცია ზაფხულის ბაზებზე. „დინამოს“ სტადიონზე ვიდრე იგი რემონტის გამო დაიხურებოდა, მართალია, ტრაფარეტული, მაგრამ მაინც იყო გამოკრული ცხრილები, გაზეთის ვიტრინები და სხვ. „ბურევესტნიკის“ სტადიონზე, ფიზკულტურელის პარკის აუზში, კიროვის სახელობის პარკის დახურულ მოედანზე და სხვაგან (განსაკუთრებით პერიფერიებში) მაყურებელი შეჯიბრების შუალედებში ვერ იხილავს სტენდებით დამშვენებულ კედლებს. აქ აქვთ ერთი ლოზუნგი— „სალამი შეჯიბრების მონაწილეებს“ (სახეობას მნიშვნელობა არა აქვს). თვალსაჩინო ადგილას გამოაკრავენ მას და მერე უკვე იწყება ზრუნვა ბილეთების განაწილებაზე.

ამას წინათ აგიტაცია-პროპაგანდის საკითხებზე გამართულ თათბირზე ორი ამბავი გამოირკვა. თურმე ბაზების დირექტორები თვალსაჩინო აგიტაციაზე იმიტომ არ ზრუნავენ, რომ სულერთია ხალხი მაინც დადის შეჯიბრებაზე. გამოდის, რომ ბაზის კედლების სტენდებით გალამაზება იმიტომ გვინდა, რომ ხალხი შევიტყუოთ შეჯიბრებაზე. ბაზის დირექტორი, რომელიც ასე ფიქრობს, შეუფერებელია დაკავებული თანამდებობისათვის. თვალსაჩინოება აგიტაცია-პროპაგანდის შესანიშნავი ფორმაა და მის უგულვებელყოფას ზიანი მოაქვს ჩვენი მთავარი მიზნის—მასობრიობისათვის.

გამოითქვა აზრი აგრეთვე, რომ ხარჯთაღრიცხვაში არ არის გათვალისწინებული საამისო ხარჯი. ეს მიზეზი მეტად უსუსურია. ყველა ბაზას უნდა ყავდეს თავისი აქტივი, რომელთა შორის აუცილებლად მოიძებნება მხატვრები, ფოტოსაქმის მოყვარულები, კალიგრაფები. ისინი ხალისით გააკეთებენ ყველაფერს თავისი ბაზის გალამაზებისათვის. მაშასადამე, საჭიროა თვითმოქმედება, აქტივი, რომელიც არა მარტო წესრიგის დაცვაში, არამედ ბაზის მშრომელთა აქტიური დასვენების კერად გადაქცევაშიც დაგვეხმარება.

სპორტული ბაზა მარტო შეჯიბრების ჩასატარებელი ადგილი არაა. იგი არის მასებში ფიზკულტურისა და სპორტის აგიტაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი. აქ მაყურებელმა უნდა იხილოს არა მარტო შეჯიბრებათა მიმდინარეობა, არამედ მიიღოს კონსულტაცია მისთვის საინტერესო საკითხებზე, რაც სასურველია გაკეთდეს თვალსაჩინო აგიტაციის ფართო გამოყენებით.

ეს საქმე, რომელზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი პირველ რიგში ეხება საოლქო, საქალაქო და რაიონულ სპორტკავშირებს, სპორტულ საზოგადოებათა საბჭოებს. მათ უნდა აგონ პასუხი ბაზების კეთილმოწყობაზე. უნდა გვახსოვდეს, რომ აგიტაციის ყველა ფორმას ჩვენთვის სარგებლობა მოაქვს, ამიტომ არ უნდა დავიშუროთ ენერგია მისი ქმედითად გამოყენებისათვის.

ხელბურთელები ემზადებიან

ამჟამად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარეობს ხელბურთში მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩები. ამ შეჯიბრებაში პირველად მიიღებენ მონაწილეობას საბჭოთა სპორტსმენები, რომლებიც შესარჩევ მატჩში უნდა შეხვდნენ რუმინელ ხელბურთელებს. ჩვენმა სპორტსმენებმა საწვრთნელი მატჩი ჩაატარეს ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდულ ნაკრებთან. ეს შეხვედრა მოეწყო მოსკოვში ცსკა-ს სპორტულ დარბაზში და დამთავრდა ჩვენი ხელბურთელების გამარჯვებით — 22:16.

პედაგოგიური მეცნიერების კანდიდატის ხარისხისათვის

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი ჩვენს ქვეყანას უმზადებს არა მარტო უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს, არამედ მეცნიერულ კადრებსაც.

ამას წინათ საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის ძალოსნობის კათედრის მასწავლებელმა მ. ოყროშიძემ მოსკოვის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „კლასიკურ ჭიდაობაში უკან გდებების ტექნიკის ანალიზი, მისი სწავლების მეთოდიკის ექსპერიმენტული გზით შემუშავება და ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური დახასიათება“.

მ. ოყროშიძის სადისერტაციო ნაშრომი მოიწონა ჭიდაობის მწვრთნელთა საბჭომ და სპორტული ჭიდაობის საკავშირო ფედერაციამ. საკავშირო სპორტული ჭიდაობის ფედერაციამ პრაქტიკაში დასანერგად მ. ოყროშიძის მიერ დამუშავებული სწავლების მეთოდიკა გამოსცა ცალკე მეთოდურ წერილად.

საბჭოთა სპორტსმენების საერთაშორისო შეხვედრები

მიმდინარე წლის დეკემბერი საბჭოთა სპორტსმენებისათვის გადატვირთული იყო სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებით. უკანასკნელ დღეებში საბჭოთა ფიზკულტურელები სტუმრად იყვნენ იუგოსლავიაში, პოლონეთში, საფრანგეთში, ინდოეთსა და ჩეხოსლოვაკიაში.

კაუნასის „ჟალგირისის“ კალათბურთელ ქალთა გუნდმა წარმატებით ჩაატარა ტურნე პოლონეთში. მან ორჯერ დაამარცხა პოზნანის „ოლიმპია“ — 46:29 და 77:42, კოლინის „გურნიკი“ — 72:57 და პოზნანის „ლეხი“ — 56:43.

სამაგიეროდ წარმატებას მიაღწიეს პოლონელებმა სტუდენტ ფრენბურთელთა საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც მონაწილეობდნენ ბელგიის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის გუნდები. ვარშავის კლუბმა „აზს 1“ ერთნაირი ანგარიშით 3:2 დაამარცხა ლატვიის უნივერსიტეტის ქალთა და რიგის ფიზკულტურის ინსტიტუტის ვაჟთა კოლექტივები და პირველ ადგილზე გამოვიდა ტურნირში. მეორე ადგილი წილად ხვდათ ლატვიის სპორტსმენებს.

თავისი გამოსვლები დაამთავრა ინდოეთში მოსკოვის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა. მან ანგარიშით 3:2 დაამარცხა კალკუტის ნაკრები. ინდოეთის შემდეგ საბჭოთა კავშირის ვაჟთა და ქალთა კოლექტივი გაემგზავრა იაპონიაში.

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ კოლინში ადგილობრივმა „ლოკომოტივმა“ მიიღო ლიტვის ნაკრები მაგიდის ჩოგბურთში. ცხრავე შეხვედრა მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარიკაობის ენთუზიასტი, მრავალი ნიჭიერი სპორტსმენის აღმზრდელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ს. საყვარელიძე ხალისით გადასცემს მომავალ თაობას თავის მდიდარ გამოცდილებას. სურათზე თქვენ ხედავთ ს. საყვარელიძეს ბავშვებთან თეორიული და პრაქტიკული მუშაობის დროს.

მეტი ყურადღება თვალსაჩინო აგიტაციას

✦ ✦ ✦

მიმზიდველი გავხადოთ სპორტული ბაზები

როდესაც თვალსაჩინოებაზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში აუცილებლად უნდა დავასახელოთ რესპუბლიკური საჭადრაკო კლუბი. ყოველივე იმის შესახებ, რაზედაც წაგიკითხავთ, ან მოგისმენიათ, შეგიძლიათ აღადგინოთ თქვენს მეხსიერებაში თუ საჭადრაკო კლუბში შეხვალთ. აქ არის 1926 წლის თბილისის პირველი ჩემპიონატის ცხრილიც და მონაწილეთა სურათებიც. ამ სურათებიდან ჭაბუკური მგზნებარებით იყურებიან ახლადულვაშებაყრილი, ამჟამად ხანდაზმული და სახელოვანი სპორტსმენები: საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი გ. ჩიკვაიძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. გოგლიძე, საერთაშორისო ოსტატი ჰ. კასპარიანი, სპორტის ოსტატი ნ. სოროკინი და სხვები, რომლებიც დღეს მოზარდ თაობას სიყვარულით გადასცემენ თავიანთ მდიდარ გამოცდილებას. აქვე შეგიძლიათ ნახოთ ამონაჭრები ჟურნალიდან „შახმატი ვ სსსრ", რომელიც ფართოდ აშუქებდა თბილისისა და ამიერკავკასიის პირველი ჩემპიონატების მსვლელობებს. აქვეა ფოტო-სტენდი, რომელიც ასახავს 1936 წლის თბილისის ჩემპიონატის შედეგებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ჩემპიონატში კონკურსგარეშე მონაწილეობდა ცნობილი ავსტრიელი მოჭადრაკე ჰანს კმოხი. ერთ-ერთ სურათზე აღბეჭდილია ჰანს კმოხისა და ვ. გოგლიძის შეხვედრის მომენტი, რომელიც ახალგაზრდა ქართველი მოჭადრაკის გამარჯვებით დამთავრდა.

საჭადრაკო კლუბში არსებული სტენდების ღირსებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ აქ უხვადაა წარმოდგენილი მეგობრული შარჟები, რომლებიც კიდევ უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის მას.

თვალსაჩინო ადგილებზეა გაკრული რუსული საჭადრაკო სკოლის ფუძემდებლის, გენიალური მოჭადრაკის მიხეილ ჩიგორინის, მსოფლიო ჩემპიონების — ვ. სტეინიცის, ე. ლასკერის, ხ. კაპაბლანკას, ა. ალიოხინის, მ. ეივეს, მ. ბოტვინიკის, ვ. სმისლოვისა და მ. ტალის დიდი ფოტოსურათები.

ალბათ ბევრ თბილისელს ახსოვს ის სპორტული მღელვარებით აღსავსე დღეები, როდესაც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში მსოფლიო ჩემპიონის სანუკვარი წოდებისათვის ერთმანეთს ერკინებოდა ჩვენი დროის ჭადრაკის ორი ბუმბერაზი მიხეილ ბოტვინიკი და მიხეილ ტალი. მაშინ თბილისელთა გულისყური მოსკოვისაკენ იყო მიპყრობილი. მათ აინტერესებდათ არა მარტო თვითეული პარტიის ბედი, არამედ სვლისაც კი.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის მაისში თბილისში ჩატარდა სამი დიდი საჭადრაკო ღონისძიება: საქართველო-რუმინეთის მატჩი, ტურნირი სპორტის ოსტატის საპატიო წოდების მოსაპოვებლად და ქალთა პირველი საერთაშორისო მატჩი თბილისში. ჭადრაკის მოყვარულებს ეგონათ, რომ კლუბში მალე ნახავდნენ საქართველო-რუმინეთისა და ქალთა საერთაშორისო ტურნირის ამსახველ ფოტო-სტენდებს, მაგრამ მათი იმედები არ გამართლდა.

თვალსაჩინოების, როგორც პროპაგანდის წამყვანი საშუალების, როლი ფიზკულტურულ მუშაობაში კარგად იციან ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზშიც (დირექტორი ბ. კანდელაკი).

აღნიშნული დარბაზი ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო და კეთილმოწყობილი სპორტული ბაზაა. აქ თითქმის ყოველდღიურად ტარდება ქალაქის, რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო მასშტაბის შეხვედრები.

აღნიშნული მდგომარეობა, რასაკვირველია, ართულებს თვალსაჩინოების მაქსიმალურად გამოყენების საშუალებას, რადგან დარბაზი ზოგჯერ ისეა ხალხით გაჭედილი, რომ სტენდი ხშირად გამოდის მწყობრიდან. მიუხედავად ამ სირთულისა, დარბაზის დირექციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ საქმეს შესანიშნავად ართმევს თავს.

მნახველის ყურადღებას იპყრობს მძლეოსნობის სტენდი, რომელზეც ასახულია ჩვენი ქვეყნის წამყვანი მძლეოსნების სპორტული შედეგები და მათი ფოტოსურათები. აქვეა თბილისის ალპინიადისადმი მიძღვნილი დიდი ფოტოგამოფენა. როგორც ცნობილია, ამ რამდენიმე ხნის წინათ თბილისში ჩატარდა საქალაქთაშორისო ამხანაგური შეხვედრა კრივში ქალაქ კაუნასისა და თბილისის გუნდებს შორის. ამ საინტერესო ორთაბრძოლის მომენტებია ასახული სპეციალურ ფოტო-გაზეთში. დარბაზში წარმოდგენილი თვალსაჩინოება მთლიანად სპორტული დარბაზის გარშემო შემოკრებილი აქტივის ხელითაა გაკეთებული.

სპორტული თვალსაჩინოების მხრივ ცოტა წარმატება როდი აქვს მოპოვებული თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ფიზკულტურულ ორგანიზაციას. აქ თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული საკლასიფიკაციო ცხრილები, საინსტიტუტო, რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო რეკორდების ცხრილები მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობებში.

ინსტიტუტში შესვლისთანავე მნახველის თვალწინ იშლება მშვენიერი ბუნება ბიჭვინთისა, სადაც ინსტიტუტს მიმდინარე წლის ზაფხულში მოწყობილი ჰქონდა სტუდენტთა გამაჯანსაღებელი ბანაკი, რომლის შესახებ ამ გემოვნებით გაფორმებულ სტენდზეა მოთხრობილი. ერთ-ერთ ლაშქრობაზე მოგვითხრობს ფოტო - გამოფენა. კიევისა და თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტების სპორტსმენთა მეგობრობაა ასახული ფოტო-ალბომში, რომელიც თბილისელმა სტუდენტებმა ამას წინათ კიევში ყოფნის დროს გააკეთეს.

ზოგიერთს შეიძლება ეგონოს, რომ სპორტული თვალსაჩინოება, როგორც აგიტაციისა და პროპაგანდის საშუალება, მხოლოდ დახურული დარბაზის კუთვნილებაა. ეს ასე არაა. პირიქით, ღია ბაზაზე სპორტსმენთა უფრო ფართო მასები დადის. თბილისში არსებულ თითქმის ყველა ღია ბაზაზე არაა გამოყენებული ეს საშუალება.

სათანადო ადგილი მივცეთ სპორტულ თვალსაჩინოებას, ლამაზი და მიმზიდველი გავხადოთ სპორტული დარბაზები და მოედნები — ასეთია ამოცანა, რომლის გადასაჭრელადაც ერთსულოვნად უნდა დარაზმოს მთელი ფიზკულტურული აქტივი.

გ. კიკილაშვილი

სკოლის მატიანე

თბილისის განათლების განყოფილების ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის სპორტული დარბაზი ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს დედაქალაქში.

ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ დარბაზის საუკეთესოდ გაფორმებას და თვალსაჩინოების მაქსიმალურად გამოყენებას.

სპორტდარბაზში გვაქვს კულტმასიური ოთახი, რომელიც კარგად არის გაფორმებული. ყოველწლიურად ვაკეთებთ ფოტო-ალბომებს საუკეთესო ტანმოვარჯიშეთა სურათებით.

სკოლას აქვს თავისი საპატიო წიგნი, რომელშიც აღინიშნებიან ისეთი მოსწავლე-ტანმოვარჯიშეები, რომლებიც გახდებიან ქალაქის, რესპუბლიკის ან საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, აგრეთვე ისინი, რომლებიც სასკოლო ასაკში ჩააბარებენ საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის ნორმატივს.

მეტი თვალსაჩინოებისათვის გვაქვს სპეციალური ფოტო-სტენდი, სადაც გაკრულია იმ ცნობილ სპორტსმენთა ფოტო-სურათები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ თბილისის განათლების განყოფილების ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლა. ასეთები არიან სპორტის დამსახურებული ოსტატები — მზია ჯუღელი, გივი კარტოზია, სპორტის ოსტატები — ოთარ ქორქია, ვახტანგ კულუმბეგაშვილი, ძმები ფრიდონიშვილები, პერტენავები და ა. შ.

სკოლას აქვს საკუთარი რადიოკვანძი, საიდანაც ხშირად ეწყობა გადაცემები სპორტის აქტუალურ და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი აღმავლობის საკითხებზე.

ნორჩ სპორტსმენთა განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს ფოტო-სტენდი, რომელიც მიძღვნილია საქართველოში ტანვარჯიშის ფუძემდებლების, წარსულში სახელგანთქმული ტანმოვარჯიშეების, სპორტის დამსახურებული ოსტატებისადმი — გიორგი ეგნატაშვილის, პროფესორ გიორგი ნიკოლაძის, არჩილ ბაქრაძისა და გიორგი მერკვილაძისადმი.

თვალსაჩინოებას ასეთი გამოყენებით ვაღწევთ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეს.

გ. იმნაძე,

თბილისის განათლების განყოფილების ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის დირექტორი.

ხვალ მეტი, ვიდრე დღეს

ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა ამიერკავკასიაში. აქ ძირითადად ახალგაზრდები მუშაობენ. ახალგაზრდობა, რომელიც თავისი დაუღალავი შრომით ქმნის მატერიალურ დოვლათს და შრომობს კომუნისტურად, შეუძლებელია არ იყოს ფიზიკურად ძლიერი და შრომისუნარიანი.

ჩვენს ქარხანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხი კარგად არის დაყენებული. ამას ისიც მოწმობს, რომ ამ რამდენიმე ხნის წინათ ქარხანაში შეიქმნა სპორტული კლუბი, რაც უფრო მეტ პასუხისმგებლობას ავალებს ჩვენს კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს.

ქარხნის კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები, რომლებიც ხელიხელჩაკიდებულნი იბრძვიან ქარხნის სპორტული პრესტიჟის განმტკიცებისა და კიდევ უფრო ამაღლებისათვის, დიდ ყურადღებას აქცევენ სპორტის აგიტაციასა და პროპაგანდას.

განსაკუთრებით მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ყოველ საამქროში არსებულ წითელ კუთხეში მრავლადაა სტენდები, საკლასიფიკაციო და რეკორდების ცხრილები.

ის გამოფენები, რომლებიც ჩვენთანაა მოწყობილი, მთლიანად მეტყველებს ქარხნის ტურისტული სექციის კარგ მუშაობაზე. ძნელად მოიძებნება საქართველოში ისეთი კუთხე, სადაც ჩვენს ტურისტებს არ მოეწყოთ ლაშქრობები, რომელთა შემდეგ ისინი ყოველთვის უშვებენ ფოტო-გაზეთებს და აწყობენ ფოტო-სტენდებს. ეს კი ხელს უწყობს სექციაში ახალი წევრების ჩაბმას.

მრავალი მუშა იყრის თავს იმ სტენდის გარშემო, რომელიც მხოლოდ რამდენიმე დღეა რაც გავაკეთეთ. იგი ასახავს ქარხნის ფეხბურთის გუნდის და ვეტერანთა გუნდის შეხვედრის მომენტებს.

ფართო გზა მივცეთ თვალსაჩინოებას, ვამრავლოთ ჩვენი სპორტული მაჩვენებლები, რომლებიც ხელს უწყობენ საქართველოს სპორტული დიდების ამაღლებას — ასეთია ჩვენი საბრძოლო ამოცანები.

გ. შარაშიძე,

ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

1960 წლის უკანასკნელი შეჯიბრება

დამთავრდა თბილისის საიუბილეო სპარტაკიადა ფეხბურთში, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს.

პირველი ჯგუფის გუნდებს შორის ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს ფიზკულტურის ინსტიტუტისა და მაუდ-კამვოლის კომბინატის გუნდებმა. მაგრამ ინსტიტუტის ფეხბურთელებს აღმოაჩნდათ გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი შეფარდება, რის შედეგადაც პირველი ადგილი მათ მიენიჭათ. აღნიშნული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკურ საიუბილეო სპარტაკიადაში.

სამწუხაროდ, კვლავ გვიხდება ლაპარაკი დისციპლინის დარღვევის შესახებ. ასე მაგალითად, თამაშებზე ორჯერ არ გამოცხადდა გზათა მშენებლობის სამმართველოს გუნდი, უაღრესად ცუდად, ამორალურად იქცეოდნენ თბილისის ელექტროტექნიკური ქარხნის გუნდის მოთამაშეები, რისთვისაც ორივე გუნდი გაირიცხა შეჯიბრებიდან. წესრიგის დარღვევისათვის სასჯელი მიეცათ ფეხბურთელებს გ. თოლორაიას (ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი), ტ. ადამიას (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ო. ცაგარეიშვილს, ბ. ბერიკაშვილს, ო. მჭედლიშვილს (ელექტროტექნიკური ქარხანა) და სხვ.

ა. გონელი

ჯილდო გათამაშდა სამ კოლექტივს შორის

ბაკურიანი. წლიდან წლამდე მონაწილეთა სულ უფრო მეტ დაინტერესებას იწვევს სათხილამურო სპორტში სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური შეჯიბრება ჩვენი გაზეთის ჯილდოზე და შესაბამისად იზრდება სპორტსმენთა მაჩვენებლებიც. ფაქტად კმარა ისიც, თუ ვიტყვით, რომ შარშან პროგრამის ყველა სახეობაში ნაჩვენები იქნა პირველი თანრიგის მხოლოდ 3 შედეგი, ამჯერად კი ეს რიცხვი 15-მდე გაიზარდა. ამაში დადებითი როლი შეასრულა იმანაც, რომ მიმდინარე სეზონის შეჯიბრებაზე ცალ-ცალკე იბრძოდნენ სპორტსაზოგადოებათა და ფიზკულტურული კოლექტივების გუნდები და გაცილებით მეტი იყო მონაწილეთა რაოდენობა.

სასიხარულო შედეგებს მიაღწიეს ვაჟებმა 15 კმ რბენასა და სლალომში, მაგრამ მიუხედავად მთელი რიგი მაღალი შედეგებისა, შეჯიბრებამ ცხადყო რესპუბლიკის ზოგიერთი წამყვანი სპორტსმენის მიერ საკუთარი ძალების გადაფასება. მაგალითად, დაჰკარგეს პირველი ადგილები ქალთა სლალომში ლ. გოგოლაძემ, ტრამპლიდან ხტომაში—პ. გავამ, ვაჟთა სლალომში — ი. ჯანგობეგოვმა, რომლებმაც მეორე ცდაზე უპირატესობა დაუთმეს მოწინააღმდეგეებს. თუ ვაჟებმა ასე თუ ისე კარგად ჩააბარეს სეზონის პირველი გამოცდა, ამას ვერ ვიტყვით სლალომისტ ქალთა შესახებ. ჩვენი რესპუბლიკის მოთხილამურეთა შორის ეს ადგილი კვლავ სუსტ რგოლად რჩება, რომელიც საეჭვოა გაძლებს თუ არა მომავალი 9 რესპუბლიკის სპარტაკიადის დღეებისათვის.

ორივე ჯგუფის 6 გუნდიდან ქალთა სლალომის სტარტზე გამოვიდა სულ 5 სპორტსმენი და მათგან მხოლოდ სამმა შეძლო დისტანციის სწორად გავლა, რის გამოც სპორტსაზოგადოებათა ვერც ერთმა კოლექტივმა ვერ მიიღო სათანადო შეფასება გუნდურ ჩათვლაში. იქნებ, ამ ფაქტზე არაფერი გვეთქვა, რომ მსგავს მოვლენებს მთელ რიგ სხვა შემთხვევაშიც არ ჰქონოდა ადგილი.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისათვის სპორტსაზოგადოებათა გუნდებს შორის მთავარ კონკურენტებს წარმოადგენდნენ „ბურევესტნიკი“, „კოლმეურნე“ და „დინამო“. „სპარტაკმა“ კი იმის გამო, რომ ახალქალაქის რაისაბჭომ დროზე არ მოავლინა საზოგადოების ნაკრების წევრები, გუნდურ ჩათვლაში ვერ მიიღო მონაწილეობა. სპორტსმენთა გამოყვანა ვერ შეძლო „განთიადმაც“. „ლელოს“ პრიზი მოიპოვეს სტუდენტებმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ „კოლმეურნის“, ხოლო მესამეზე „დინამოს“ მოთხილამურეები. საჯარიმო ქულათა [illegible] რაოდენობა აღმოაჩნდათ ბაკურიანის კოლმეურნეობისა და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდებს, რომლებმაც გაიყვეს I-II ადგილები. მესტიელი მოთხილამურენი დარჩნენ მესამე ადგილზე.

აღსანიშნავია, რომ აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, წალკის, ყაზბეგის, დუშეთის, ასპინძისა და სხვა თოვლიანი რაიონების სპორტკავშირები კვლავ უმოქმედობენ. შეჯიბრებაზე დასახელებულ რაიონებიდან თითო ფიზკულტურული კოლექტივიც კი არ ჩამოსულა. ზოგიერთი მათგანი წლიდან წლამდე კმაყოფილდება მხოლოდ რესპუბლიკურ პირველობაზე მონაწილეობით, ამიტომაც მათი მაჩვენებლები მაშინაც ერთობ არასახარბიელო შედეგებით მთავრდება ხოლმე.

რესპუბლიკის სათხილამურო სეზონი გაიხსნა. ახლა ჩვენი სპორტული ორგანიზაციების ვალია იზრუნონ პირველ შეჯიბრებაზე გამოვლენილ ნაკლოვანებათა დროული დაძლევისა და მომავალ შეჯიბრებებზე უკეთესი შედეგების მოპოვებისათვის, რაც საქართველოს გუნდების საკავშირო სპარტაკიადისათვის ნაყოფიერი მომზადების აუცილებელი წინაპირობაა.

ო. გელაშვილი,

ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

• • •

სურათზე: ქალთა შორის 5 კილომეტრზე რბენაში გამარჯვებული პირველთანრიგოსანი ვ. გავა

პამირის მწვერვალებში

1954 წლიდან დაწყებული საქართველოს ალპინისტები წარმატებით იპყრობენ პამირის მწვერვალებს. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი მთამსვლელები ავიდნენ სტალინის, მოსკოვის, ენგელსის პიკებზე, განვლეს დარვაზის ქედი და ა. შ. ეს წარმატებანი ორჯერ იქნა აღნიშნული ოქროსა და ვერცხლის მედლებით.

1960 წელს ჩვენმა ალპინისტებმა ერთხელ კიდევ მოიპოვეს ოქროს მედლები. ამჯერად ეს იყო საქართველოს მაღალმთიანი ექსპედიციის ლაშქრობის შედეგი ზულუმარტისა და ზაალაის ქედების 13 მწვერვალზე.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ ტრავერსის მონაწილის — სპორტის ოსტატ ჯ. მეძმარიაშვილის წერილს.

ტრავერსები ჩვეულებრივ ტარდება ე. წ. ნალისებური ტრასით, რომელსაც სტარტი და ფინიში ერთ საბაზო ბანაკში აქვს, ჩვენ კი სხვაგვარი ტრავერსი გვქონდა: ოქტომბრის ყინვარის დასაწყისიდან სამხრეთით ზულუმარტისა და ზაალაის ქედების გავლით ჩრდილოეთისაკენ კომანის ყინვარამდე. ამ მარშრუტით ალპინისტები პირველად ლაშქრობდნენ.

მაგრამ იყო სხვა სირთულეებიც: თითქმის მთელი ეს 40-კილომეტრიანი ტრასა გადიოდა არანაკლებ 6 ათას მეტრ სიმაღლეზე და ჰქონდა ღრმა ჩავარდნები. სიმაღლე სრულიად მოულოდნელად მიიწევდა ზევით ათასი მეტრით და ასევე უცბად ეშვებოდა ქვევით იმავე მანძილით.

ჩვენი ექსპედიციის ხელმძღვანელი იყო სპორტის ოსტატი ლ. ახვლედიანი, მოადგილე — სპორტის ოსტატი ზ. ახვლედიანი, მწვრთნელი —სპორტის ოსტატი ჯ. მეძმარიაშვილი. მათს გარდა მოიერიშე ჯგუფში იმყოფებოდნენ: სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. ხერგიანი, სპორტის ოსტატები თ. კუხიანიძე, ი. გაბლიანი, დ. გუგავა, პირველთანრიგოსნები , ს. გუგავა, დ. დანგაძე, ო. ბერაძე, ა. ახვლედიანი და გ. კობიძე. ექსპედიციაში მონაწილეობდა აგრეთვე 14 დამხმარე ალპინისტი პირველთანრიგოსან შ. ჩართოლანის ხელმძღვანელობით. ასე რომ, მოიერიშე ჯგუფი შედგენილი იყო საქართველოს სიმაღლოვანი ასვლების ნაკრებ წევრთაგან გარდა რ. და გ. აბაშიძეებისა, რომლებიც საფრანგეთის ალპების დასალაშქრავად მიემგზავრებოდნენ და ო. ხაზარაძის, შ. მირიანაშვილისა და ნ. ნადირაშვილის, რომლებიც კავკასიონზე იყვნენ.

ჩვენი ტრავერსის მოსამზადებელი დიდი სამუშაოები შეასრულეს ექსპედიციის უფროსის მეორე მოადგილემ — გ. ყალაბეგიშვილმა და თბილისის უნივერსიტეტის დოცენტმა ო. გიგინეიშვილმა, რომელიც ექსპედიციის ტაქტიკური გეგმის ავტორი იყო.

...რაიონის ცენტრში — სარიტაშში გავიყავით ორ ჯგუფად: ჩრდილოეთის ჯგუფი გაემართა ალაის ველის მიმართულებით, ხოლო სამხრეთისა — ყიზილ-არტის უღელტეხილით ოქტომბრის ყინვარის ენისაკენ. აკლიმატიზაციის მიზნით მოეწყო რამდენიმე ასვლა 6-ათასიან მწვერვალებზე. 20 დღე გავიდა რთულ მოსამზადებელ და საორგანიზაციო სამუშაოებში; ბოლოს, დადგინდა გეგმა, იერიშის ვადები, სხვა აუცილებელი საკითხები და 10 აგვისტოს ჯგუფი შეუდგა შტურმს, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავს.

მარცხი მოუვიდა სპორტის დამსახურებულ ოსტატ ჰ. ჩართოლანს. წინა დღეს, ნადირობისას, იგი წყლით სავსე ყინვარის ნაპრალში ჩავარდა და გაცივდა, რის გამოც ველარ მიიღო მონაწილეობა ლაშქრობაში.

დაიწყო პირველი უსახელო მწვერვალის იერიში. შევედით თოვლისა და ყინულის სამყაროში. ჭეშმარიტად ჯოჯოხეთურ სიძნელეებს გვიქმნიდა ფხვიერი თოვლის გადალახვა. ვინაიდან იგი დასაყრდენს აცლიდა მთამსვლელის ფეხს. ბოლოს მწვერვალი დაპყრობილ იქნა და ჩვენ გეზი ავიღეთ მეორისაკენ. 40 წუთის შემდეგ, როცა სიმაღლეს 300-350 მეტრი აკლდა, მივადექით კლდეს, რომელიც უცბად მაღლდებოდა თითქმის 500 მეტრით. სამაგიეროდ, კლდეზე სიარული უფრო ადვილია, ვიდრე თოვლზე — და ჩვენც სწრაფად დავიპყარით მეორე უსახელო მწვერვალი. შემდეგ დაიწყო დამქანცველი და სახიფათო დაშვება ყინულზე, მაგრამ ბინდი გზაში დაგვეწია და ჩვენც კარვები გავშალეთ.

11 აგვისტო. ჩვენს წინ დამრეცი ყინულოვანი აღმართია, რომელიც 60 გრადუსს აღწევს. ენერგიულად ვხმარობთ ჩაქუჩებსა და ყინულის პალოებს. გულდასმით ვიცავთ ერთმანეთს. ცივა. 4 საათისათვის უკვე მესამე უსახელო მწვერვალზე ვართ, რომელიც განსაკუთრებით მოგვწონს თავისი ბუმბერაზობითა და სილამაზით. მისი სიმაღლე 6.260 მეტრია. საერთო გადაწყვეტილებით მას ვუწოდეთ „საბჭოთა საქართველოს 40 წელი“.

მცირე შესვენება დამთავრდა და დაუყოვნებლივ ვაგრძელებთ ტრავერსს...

12 აგვისტო, 13 აგვისტო, 14 აგვისტო — სამი დღე მძიმე და საშიში ლაშქრობისა. ყოველ ნაბიჯზე დიდი სიძნელეები გვხვდება. ამოვარდება ქარი, თოვს.

მაგრამ ჩვენ ზუსტად ვიცავთ გრაფიკს და კვლავ წინ მივიწევთ. ამ სამი დღის განმავლობაში ვიპყრობთ 7 ახალ მწვერვალს, რომელთა შორისაა ოქტომბრის პიკი (6.780 მეტრი), ერთობის პიკი (6.773 მეტრი) და სხვ. განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა ოქტომბრის პიკზე ასვლა. მის კედელთან მიახლოვებისას შევნიშნეთ, რომ იგი მთავრდებოდა ზედ ჩვენს თავზე გადმოწოლილი უზარმაზარი ლავგარდანით. მარჯვნივ ზვავსაშიში ფერდობია, მარცხნივ — შვეული კედელი ყოველგვარი ნაპრალის გარეშე. იძულებული ვართ პირდაპირ ლავგარდანის ქვეშ ვიაროთ და თანაც—ნელა, ნელა. კედლის 50 მეტრის გავლას თითქმის 2 საათს ვუნდებით. უცბათ, კლდე ღრმა თოვლით იცვლება და ჩვენ წელამდე ვიფლობით. თანდათან ვაპობთ ამ თხრილს და გადავდივართ ფერდობიდან. იწყება მწვერვალისწინა კლდოვანი ქიმი.

დღე დამთავრდა, მაგრამ არავის არა ჰქონდა ჭამის სურვილი — იმდენად დიდი იყო ნერვული დაძაბულობა. წინ გლუვი, შავი კედლის თავზე ლამაზად გადმოდიოდა თოვლიანი კარნიზი, ხოლო მის ქვეშ მახვილი ქიმია, რომლის გადალახვა ხვალ მოგვიხდება.

...აი ასე, დღიდან დღემდე...

ერთობ სწრაფ ტემპში (5 დღეში) გავიარეთ ზულუმარტის ქედი. 15 აგვისტოს დავეშვით კრილენკოს უღელტეხილზე (5.800 მეტრი), სადაც შეგვხვდა დამხმარე ჯგუფი.

16 აგვისტოს განვაგრძეთ იერიში. მთელი დღის განმავლობაში დაბეჯითებით მივიწევდით წინ; 6.800 მეტრის სიმაღლეზე გავშალეთ კარვები, მეორე დღეს — 17 აგვისტოს დავიპყარით ზაალაის ქედის უმაღლესი წერტილი — ლენინის პიკი (7.134 მ). შემდეგ განვლეთ რაზდელნაიას პიკი და დავუახლოვდით ძერჟინსკის პიკს.

ვისაც კი ჰქონია შემთხვევა ასულიყო ძერჟინსკის პიკზე, მან კარგად იცის მისი ქიმის ვერაგობა. საკმარისია ოდნავ ამოჰყოს წვერი მზემ, ან პირიქით — წამოვიდეს თოვლი და იწყება ზვავების დაუსრულებელი მოძრაობა. ეს იყო უკანასკნელი, მეცამეტე მწვერვალი ჩვენი ტრავერსის გზაზე. იგი წარმატებით იქნა დაპყრობილი და ტრავერსიც დამთავრდა.

ამრიგად, ტრავერსით გადალახული იქნა 13 მწვერვალი, რომელთა სიმაღლე 6 ათას მეტრზე ნაკლები არ იყო. ჩვენმა გუნდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მას შეუძლია თამამად შეუტიოს მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალებს.

ჯ. მეძმარიაშვილი

სპორტის ოსტატი.

ველოგადარბენა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზაღზრდის და სპორტის კათედრასთან არსებულმა ველო-განყოფილებამ მოაწყო გადარბენა გორის მიმართულებით. ველოგადასვლაში მონაწილეობა მიიღო 17 სპორტსმენმა. გადარბენის მონაწილეებს გულთბილად შეხვდნენ გორის ფიზკულტურული ორგანიზაციები. გადარბენის მონაწილეებმა სამახსოვრო ვიმპელი გადასცეს გორის სპორტსმენებს.

ვ. ჯონჯოლიანი



ჩემპიონთა თასი

ამსტერდამში შედგა ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი მატჩი ჰოლანდიის უძლიერეს საკლუბო გუნდს „ვოლვესა“ და პრაღის „სპარტაკ-სოკოლოვოს“ შორის. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამარჯვება მოიპოვეს ჩეხებმა — 57:52.

ასეთივე დაძაბულ ხასიათს ატარებდა იუგოსლავიისა და შვეციის ჩემპიონების შეხვედრა, რომელიც იუგოსლავებმა მოიგეს ანგარიშით — 53:50.

პირველი საკლასიფიკაციო მატჩი ჩაატარა ბულგარეთის ჩემპიონმა „სპარტაკმა“ (სოფია) ბერლინში ადგილობრივი „ვისენშაფტის“ (ჰუმბოლტის უნივერსიტეტი) გუნდთან. შეხვედრა დიდი უპირატესობით ბულგარელმა კალათბურთელებმა მოიგეს — 85:54.

იტალიის კალათბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გააგზავნოს არა ჩემპიონი — „სიმენტალი“, არამედ მეორე ადგილზე გამოსული გუნდი — ბოლონიის „ვირტუსი“. ამით ფედერაციამ დასაჯა ჩემპიონი იმ უმსგავსოებისათვის, რაც მისმა წევრებმა ჩაიდინეს ერთ-ერთი მატჩის დროს.

◆

4000 მაგიერ —100

დასავლეთ გერმანიის სპორტული საზოგადოებრიობა სერიოზულად შეშფოთებულია გერმანიის გაერთიანებული სპორტის მომავლით. საქმე იმაშია, რომ ბონის მმართველი წრეები ყოველნაირად ხელს უშლიან დასავლეთისა და აღმოსავლეთის სპორტსმენთა დაახლოებას და ქმნიან სხვადასხვაგვარ ხელოვნურ დაბრკოლებებს.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სინანულით აღნიშნავენ, რომ წლითიწლობით მცირდება ამხანაგურ შეხვედრათა რაოდენობა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის სპორტსმენებს შორის. თუ 1958 წელს ისინი 4000 ამხანაგურ მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს, წელს ეს ციფრი 100-მდე შემცირდა.

ყოველდღიური
ტანვარჯიში

ამ დღეებში „საბჭოთა საქართველომ“ ქართულ ენაზე გამოსცა ე. ჟურავლიოვისა და ს. იანანისის ბროშურა „ყოველდღიური ტანვარჯიში მამაკაცებისათვის“.

წიგნი მიზნად ისახავს პოპულარიზაცია გაუწიოს დილის ყოველდღიურ ჰიგიენურ ტანვარჯიშს. იგი შედგება ზოგადი ნაწილისა და ტანვარჯიშული კომპლექსებისაგან, ერთვის თვითკონტროლის პირადი ბარათი და მეცადინეობის კალენდარული გეგმა. რამდენიმე გვერდი ეთმობა მითითებებს ვარჯიშის დროს.

ნაშრომი შეიცავს 72 გვერდს და ღირს 2 მან.

თუ კი რომის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილი იყო ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ, სადაც შესანიშნავი სიმაღლეზე მხტომელი ზანგი სპორტსმენი ჯ. თომასი ყველას ანცვიფრებდა „დიდ“ სიმაღლეთა დაძლევით, რომში საბჭოთა სპორტსმენებთან რ. შავლაყაძესთან და ვ. ბრუმელთან დამარცხების შემდეგ იგი მხოლოდ ერთხელ გამოვიდა და არც თუ ისე მაღალი შედეგი აჩვენა. სამაგიეროდ ოლიმპიადის შემდეგ დიდ წარმატებას აღწევს მოსკოველი სტუდენტი ვ. ბრუმელი, რომელიც დღითიდღე აუმჯობესებს შედეგებს. ჯერ იყო და რამდენიმე ხნის წინათ მან დაამყარა ევროპის ახალი რეკორდი, ხოლო მას შემდეგ შვედმა ს. პეტერსონმა აჩვენა ევროპის მიღწევა — 214 სმ (დახურული შენობისათვის), ვ. ბრუმელმა სცადა შვედი სპორტსმენის შედეგის გაუმჯობესება და სასურველს მიაღწია კიდეც.

ამას წინათ სტალინის სახელობის მოსკოვის ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის თასზე მოწყობილ შეჯიბრებაზე ვ. ბრუმელმა თანმიმდევრობით დაძლია 195, 200, 205, 208, 211 და ბოლოს 214,5 სანტიმეტრი და 0,5 სანტიმეტრით გააუმჯობესა ს. პეტერსონის მიღწევა.

ჩვენი მოსკოველი ფოტოკორესპონდენტის ვ. ტუტოვის მიერ გამოგზავნილ სურათზე აღბეჭდილია ვ. ბრუმელი, რომელიც ვარჯიშის დროს შეუდარებელ ნახტომს აკეთებს, ცალი ფეხით იგი წვდება კალათბურთის კალათის ბადეს.

ოსლოში ყოველწლიურად იმართება „ზამთრის ზეიმი“, რომლითაც იწყება ზამთრის სპორტის სახეობათა პირველობები. **სურათზე:** „ზამთრის ზეიმის“ მონაწილეთა ალლუმი.

პრიზიორის დარდი და იმედი

საფრანგეთის ნაკრებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსოფლიოს VI ჩემპიონატზე დამსწრე სპეციალისტებსა და ჟურნალისტებზე. საყოველთაო აღიარებით სწორედ ფრანგებს უნდა დაეკავებინათ მეორე ადგილი და არა შვედებს. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ჩვენს მიმოხილვაში ლაპარაკია ფრანგული ფეხბურთის დღევანდელი დღის შესახებ.

◆

რამდენიმე „ნოკდაუნი“

როცა ფრანგები ჰელსინკის ოლიმპიური სტადიონის მწვანე მინდორზე გამოვიდნენ, მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩში მასპინძლებთან შესახვედრად, მათს გამარჯვებაში, ეჭვი არავის ეპარებოდა. მართალია, სტუმრებს აკლდათ „სამი მუშკეტერი“ — ფონტენი, კოპა და პიანტონი, მაგრამ ფრანგთა რიგებში იყვნენ კოლონა, ვენდლინგი, კელბელი, ვისნესკი, ვენსანი და სხვანი. მიუხედავად ასეთი შემადგენლობისა, ფრანგებმა დიდხანს ვერაფერი დააკლეს მეტოქეებს და პირველი გოლიც კი მიიღეს საკუთარ კარში. ფინელებთან დიდი გაჭირვებით მოგება (2:1) არ ეკადრებოდა მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორს.

რამდენიმე დღის შემდეგ ფრანგებმა ვარშავაში ითამაშეს პოლონელთა წინააღმდეგ და კვლავ წარუმატებლად. მწვრთნელმა ა. ბატემ გუნდიდან გაიყვანა მეკარე კოლონა და ცენტრალური ნახევარმცველი კელბელი, მაგრამ განახლებულმა „მექანიზმმაც“ ვერ უშველა ფრანგებს. „თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე ანგარიში იყო 2:0 პოლონელთა სასარგებლოდ და მხოლოდ რისვაივაგლახით გაათანაბრეს ანგარიში — 2:2.

ამ წარუმატებლობის გასამართლებლად ფრანგი მიმომხილველები იმიზეზებდნენ იმას, რომ მწყობრში არ იდგა შვედური „გვარდია“. ამ „გვარდიელთა“ გამოჯანმრთელებამდე ფრანგებმა ექსპერიმენტული შემადგენლობით ითამაშეს ბაზელში შვეიცარიის ნაკრების წინააღმდეგ და მატჩის შედეგმა გააოცა სპორტული მსოფლიო, ფრანგები დამარცხდნენ ანგარიშით 2:6.

მალე მწყობრში ჩადგა რ. კოპა, მაგრამ საქმეს არც ამან უშველა. სტოკჰოლმში შვეციის ნაკრების წინააღმდეგ ფრანგები თამაშობდნენ თავიანთი უძლიერესი შემადგენლობით (არ იყო მხოლოდ ფონტენი). მათ შვედებმა დაუპირისპირეს ექსპერიმენტული შემადგენლობა (ვინაიდან მათი 10 თვალსაჩინო ოსტატი საზღვარგარეთ თამაშობს) და კიდევ ერთი დამარცხება აგემეს სტუმრებს — 1:0.

◆

ალბერ ბატეს კარიერის დასასრული

ფრანგების მოთმინების ფიალა აივსო მას შემდეგ, რაც მათმა ჩემპიონმა „სტად დე რეიმსმა“ მარცხი განიცადა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ინგლისის „ბერნლეისთან“. რამდენადაც „რეიმსისა“ და ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ერთდაიგივე პიროვნებაა — ა. ბატე, ყველაფერი სწორედ მას დაბრალდა. არ იქნა მხედველობაში მიღებული ა. ბატეს დიდი დამსახურება, არც ის ობიექტური პირობები, რომლებზეც მწვრთნელი მიუთითებდა. ბატე, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის საფრანგეთის ნაკრების გამარჯვებებში, მოხსნილ იქნა თანამდებობიდან და ჩამოყენებული ახალი მწვრთნელის „მრჩევლის“ როლამდე. მთავარ მწრვთნელად დანიშნეს ჟ. ვერიე, რომლის უპირველესი ამოცანა იყო ბულგარეთთან მატჩისათვის მზადება. მან ნაკრებში შეიყვანა არგენტინიდან იმპორტირებული ფორვარდი დე ბურგოანი, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ფიფა-მ ამ „ვარსკვლავს“ აუკრძალა ახალ გუნდში თამაში.

ბულგარეთთან შეხვედრის უსიამოვნო „პრელუდიას“ წარმოადგენდა „რეიმსისა“ და „რესინგის“ მატჩი საფრანგეთის პირველობაზე, როცა მწყობრიდან იქნა გამოყვანილი ნაკრების ოთხი წამყვანი მოთამაშე. ფრანგები „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე თავიანთი სახიფათო მეტოქეების წინააღმდეგ თამაშობდნენ კოპასა და ვენსანის გარეშე, მაგრამ მაინც საუცხოოდ ჩაატარეს მატჩი და მნიშვნელოვანი გამარჯვებაც მოიპოვეს — 3:0.

◆

ისევ ორი ცენტრფორვარდის მოტრფიალე

ჟ. ვერიეს დიდი ცვლილებები არ მოუხდენია ნაკრებში, მაგრამ პრობლემად იქცა მხოლოდ მეკარე. ოდესღაც სახელგანთქმული მეკარე რემეტერი კიდევ თამაშობს თავის საკლუბო გუნდში, მაგრამ ნაკრების ღირსებას ვეღარ დაიცავს. იმედები ვერ გაამართლეს ლამიამ და კოლონამ. მწვრთნელი შეჩერთა ტაიანდიეზე („რესინგი“), ხოლო სათადარიგო მეკარეა გერმარი („სედანი“).

ცენტრალური ნახევარმცველის პოსტზე ვერც კელბერმა („მონაკო“) და ვერც ტირინსკიმ („ჰავრი“) თავი ვერ გაართვეს დაკისრებულ მოვალეობას. ვერიეს კიდევ ერთი აღმოჩენა იყო ბიეგანსკი („ლანსიდან“), რომელიც მოქმედებს მკვეთრად, კარგად აწარმოებს ურთიერთდახლვევას მცველებთან. გვერდითი მცველები ვენდლინგი და როძიკი „რეიმსიდან“ ძველებურად კარგ ფორმაში იმყოფებიან.

ნახევარდაცვაში თამაშობს „რესინგის“ წყვილი მარსელი-სენაკი. საუცხოო ფორმაშია მსოფლიო წინა ჩემპიონატის მონაწილე მარსელი, რომელიც თავის ძირითადი მოვალეობის შესრულებასთან ერთად ფრიად სახიფათოდ უტევს მეტოქეთა კარს.

საფრანგეთის ნაკრების მთავარ ძალას ყოველთვის თავდასხმა წარმოადგენდა. მარჯვენა ფრთაზე კონკურენციის გარეშეა 23 წლის ვისნესკი, რომელიც „ლანსში“ თამაშობს, იგი აღიარებულ იქნა სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად. ჯერ კიდევ ა. ბატე იყო „გაორებული ცენტრის“ სისტემის მოტრფიალე (ფონტენი-კოპა, გლოვაცკი-კოპა). ამავე სისტემის დიდი მომხრეა ჟ. ვერიეც. იგი დიდ იმედებს ამყარებს ფონტენსა და კოპაზე. მარცხენა ფრთაზე ითამაშებენ პიანტონი (№ 10) და ვენსანი (№ 11). ამრიგად, ახალმა მწვრთნელმა აღადგინა „შვედური ხუთეული“, რომელმაც ესოდენ დიდი პოპულარობა მოიპოვა განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის დროს.

◆

მატჩ-რევანშის მოლოდინში

მეორე მატჩი ფინელებთან, რომელიც პარიზში უნდა შედგეს, რასაკვირველია, არ შეიძლება სერიოზულად იქნას სათვალავში მისაღები. უთუოდ ორ გამარჯვებას მოიპოვებენ ფინელებზე ბულგარელებიც. რჩება მატჩ-რევანში სოფიაში, რომელზეც ყველაფერია დამოკიდებული. როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატში ბურთების შეფარდებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ასე, რომ ბულგარელთა გამარჯვების შემთხვევაში, შედგება გადამწყვეტი მატჩი ნეიტრალურ მინდორზე.

ყოველივე ეს უაღრესად ზრდის ინტერესს საფრანგეთ-ბულგარეთის მატჩ-რევანშისადმი, რომელიც 1961 წლის მეორე ნახევარში გაიმართება.

გ. გამრეკელი

რედაქტორი **ი. უგულავა.**

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34. გამომშვებების — 3-01-06.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01952